პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

ოთხშაბათი
10 დეკემბერი
1941 წ.
№ 292 (6297)
ფასი 15 კაპ.

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

9 დეკემბრის დილის ცნობა

8 დეკემბერს ღამით ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე.

* * *

ამხ. იუშკევიჩის ნაწილებმა, რომელნიც დასავლეთის ფრონტის ერთერთ უბანზე მოქმედებენ, მოსპეს გერმანელთა 10 ბლინდაჟი და გაჟლიტეს მოწინააღმდეგის 350 ჯარისკაცი და ოფიცერი. ფრონტის მეორე უბანზე ამხ. მასლენიკოვის მებრძოლებმა მოსპეს გერმანელთა 20 ძელმიწური სიმაგრე, ერთი საარტილერიო და 2 ნაღმსატყორცნი ბატარეა და გაჟლიტეს მტრის 400-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

ამხ. ტრიფონოვის მფრინავებმა, რომელნიც დასავლეთის ფრონტზე მოქმედებენ, ერთი დღის საბრძოლო მოქმედების დროს მოსპეს გერმანელთა 10 ტანკი, 60-ზე მეტი ავტომანქანა, 80-მდე საზიდარი საომარი მასალებითურთ და გაჟლიტეს მოწინააღმდეგის 800 ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენი ჯარის ნაწილი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის ერთ-ერთ უბანზე მოქმედებს, ღამით თავს დაესხა მოწინააღმდეგეს, ხელთ იგდო 6 ზარბაზანი, 32 ტყვიამფრქვევი, 12 ნაღმსატყორცნი და მტრის 3 დროშა.

* * *

ფაშისტთა ტყვეობიდან გამოქცეულმა სერჟანტმა ბუდიანსკიმ და წითელარმიელებმა მ. კომპანეეცმა, გ. კაკურინმა, ტ. სანკაჩევმა, ი. სავჩენკომ, ი. პოდგორნიმ, ს. ბოიკომ და სხვებმა გვიამბეს, თუ რა უმაგალითო მხეცობას სჩადიან ჰიტლერელები ტყვე წითელარმიელებისა და ოკუპირებული რაიონების მშვიდობიან მცხოვრებთა მიმართ. „ჩვენ 4 დღეს ორმოში ვყავდით, არც საჭმელს გვაძლევდნენ, არც წყალს. შემდეგ გაგვრეკეს კრემენჩუგს, იქიდან კი სადღაც პავლიშს. ღონემიხდილთ გზაში ხვრეტდნენ. სოფელ ზნამენკაში გერმანელებმა მოჰკლეს ერთი ბიჭი და დასჯრეს დედაბერი იმიტომ, რომ მათ სიმინდი მიაწოდეს ტყვე წითელარმიელებს. ერთ ღამეს ჩვენ მოვახერხეთ გამოქცევა. ჩვენი ნაწილებისაკენ რომ მოვდიოდით, დავინახეთ, თუ რა მხეცურად უსწორდებიან ფაშისტები მოსახლეობას. სოფელ იანოვკაში გერმანელებმა წაართვეს მოსახლეობას მთელი პური, ღორები, ძროხები, ქათმები, ბატები და საოჯახო ნივთები. როდესაც გერმანელები უკანასკნელ ღორს ართმევდნენ ერთ კოლმეურნე ქალს, რომლის გვარიც აღარ გვახსოვს, მან ტირილი დაიწყო. მაშინ მტარვალებმა ხიშტზე ააგეს ეს ქალი. კოლმეურნეობა „ჩერვონე სელოში“ ფაშისტები შევიდნენ ერთი კოლმეურნე ქალის ეზოში და ავტომატით დახოცეს მთელი იხვები. კოლმეურნე ქალმა ვერ მოითმინა და სთხოვა სროლა შესწყვიტეთო. იგი იქვე მოჰკლეს. სოფელ ტიმში გერმანელებმა მოჰკლეს ერთი ბიჭი იმისათვის, რომ გერმანელთა ტანკთან მივიდა. სოფელ სოფიევკაში ერთი იტალიელი ოფიცრის მოკვლისათვის ფაშისტებმა 50 ქალი და ბავშვი დახოცეს“.

* * *

ბელგიელი პატრიოტები თავს დაესხნენ გერმანელების მძიმე ქვემეხთა ბატარიას ქალაქ ბლანკენბერგის სამხრეთ-დასავლეთით. პატრიოტებმა დახოცეს 17 ფაშისტი არტილერისტი, ააფეთქეს საომარი მასალების საწყობი და მწყობრიდან გამოიყვანეს 2 ქვემეხი და 3 საზენიტო დანადგარი. მთელ ბელგიაში ავრცელებენ ფურცლებს, რომლებიც მოუწოდებენ — გაჟლიტონ ფაშისტი ჯარისკაცები, ააფეთქონ მათი საწყობები და მოსპონ გერმანელთა იარაღი.

* * *

საბჭოთა პატრიოტი ქალები წარმატებით სცვლიან ფრონტზე წასულ მამაკაცებს. კრასნოიარსკის მხარეში ომის განმავლობაში 1000-ზე მეტი ქალი დააწინაურეს ხელმძღვანელ სამუშაოზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. კრასნოტურანსკის რაიონში დიდი პატივისცემით იხსენიებენ კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარეს ვიქტორია დიტლიას. მან ჩამორჩენილი არტელი მოწინავედ გადააქცია. კოლმეურნეობამ რაიონში ერთ-ერთმა პირველმა შეასრულა ყველა ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე. ომის დროს საბჭოთა მუშაობის უნარიანი ხელმძღვანელობის ნიმუშს გვიჩვენებს ტიუხტეტის რაიონის კოლმეურნე ეფროსინე სენკოვა, რომელიც არჩეულია ვასილიევსკის სოფლსაბჭოს თავმჯდომარედ. თავის მოვალეობას ჩინებულად ასრულებს სამხრეთ-ყაზახეთის ოლქის არისის რაიონის კოლმეურნეობა „ოქტომბრის“ გამგეობის თავმჯდომარე ურბიკუი უტებაევა. კოლმეურნეობაში მისი ხელმძღვანელობით 10 ახალი შენობა ააგეს პირუტყვისათვის, უხვად დაამზადეს საკვები საზამთროდ. პრიმორიეში სამამულო ომის განმავლობაში 650 ქალი დააწინაურეს საზოგადოებრივი, სახელმწიფო და სამეურნეო სამუშაოს სხვადასხვა უბნებზე. ნიჭიერი ორგანიზატორის სახელი მოიხვეჭა მუშამ სოფიო მიხეილის-ასულმა სტრიჟაკმა, რომელიც დანიშნულია ვლადივოსტოკის ქალაქის თევზკომბინატის თევზის ქარხნის ტექნიკურ ხელმძღვანელად. მისი ხელმძღვანელობით თევზის ქარხნის კოლექტივმა ჩინებულად შეასრულა სპეციალური დავალება. კოლექტივი ყოველთვე გადაჭარბებით ასრულებს გეგმას. ქარხანაში არ მოიპოვება ისეთი მუშა, თავის ნორმას რომ არ ასრულებდეს. ბუგურუსლანის ნავთსარეწებში საკომანდო თანამდებობა დაიკავა ბევრმა ქალმა. ამხ. სამოილენკომ შესცვალა ნავთის ამოღების ოსტატი, რომელიც ფრონტზე წავიდა. მისი ხელმძღვანელობით ბრიგადამ გაადიდა ნავთის ამოღება.

9 დეკემბრის საღამოს ცნობა

9 დეკემბრის განმავლობაში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ ბრძოლებს მტერთან ყველა ფრონტზე. დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთის ფრონტების მთელ რიგ უბნებზე ჩვენი ჯარის ნაწილებმა მტრის შეუპოვარ წინააღმდეგობას სძლიეს, წინ წაიწიეს და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

8 დეკემბრის განმავლობაში მოსპობილია გერმანელთა 6 თვითმფრინავი. ჩვენ 3 თვითმფრინავი დავკარგეთ.

* * *

8 დეკემბრის განმავლობაში ჩვენმა ერთერთმა ავიანაწილმა მოსპო და დააზიანა გერმანელთა 4 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 70 ავტომანქანა ჯარითა და ტვირთითურთ, 5 საველე და საზენიტო ქვემეხი, საომარი მასალით დატვირთული 20-ზე მეტი საზიდარი, მოსპო ან გაჰფანტა მტრის ორ ასეულზე მეტი ქვეითი ჯარი.

* * *

მეთაურ ზახარკინის ნაწილებმა, რომლებიც ფრონტის ტულის მიმართულების ერთერთ უბანზე მოქმედებენ, სწრაფი დარტყმით განდევნეს გერმანელები მთელი რიგი დასახლებული პუნქტებიდან. მარტო ერთი დღის განმავლობაში ჩვენმა მებრძოლებმა ხელთ იგდეს გერმანელთა 15 ტანკი, 2 ჯავშნიანი მანქანა, 41 ავტომანქანა, 5 ქვემეხი, 3 ნაღმსატყორცნი, 18 ტყვიამფრქვევი და მოსპეს მტრის 600-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი. ბრძოლის პროცესში მოსპობილია გერმანელთა დიდძალი ტანკი, ქვემეხი და სხვა საჭურველი.

* * *

ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა, რომელიც ფრონტის კალინინის უბანზე მოქმედებს, გაათრებული ბრძოლის შედეგად განდევნა გერმანელები 7 დასახლებული პუნქტიდან, მოსპო მტრის 1.500 ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდო გერმანელთა 18 ქვემეხი, 10 ნაღმსატყორცნი, 17 რადიოსადგური, 19 ტყვიამფრქვევი, 13 ავტომანქანა, დიდძალი საჭურველი და საომარი მასალა.

* * *

ლენინგრადის ფრონტზე მოქმედი ამხ. ბიზეევის ქვეგანაყოფის არტილერისტებმა ცეცხლოვანი თავდასხმით მოსპეს მტრის ნაღმსატყორცნი ბატარია და 100-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

* * *

კალინინის ოლქის პარტიზანები უმოწყალოდ ანადგურებენ გერმანელ დამპყრობლებს, რომლებიც ყინვის გამო მიწურებსა, ბარაკებსა და სოფლის გადარჩენილ სახლებში იმალებიან. პარტიზანული რაზმი, რომელსაც ამხ. მ. მეთაურობს, ახლა თხილამურებით მოქმედებს. რაზმის ყველა მებრძოლს თეთრი ხალათი აცვია. ამ დღეებში ამ რაზმის მებრძოლნი გარს შემოერტყნენ ფაშისტ ჯარისკაცთა ჯგუფს, რომლებიც ტყეში ისვენებდნენ. გერმანელებმა ცეცხლი დაანთეს და თბებოდნენ. მოულოდნელად პარტიზანები გამოჩნდნენ. მარჯვედ გადასროლილმა რამდენიმე ხელყუმბარამ ერთბაშად გამოიყვანა მწყობრიდან ათეულზე მეტი გერმანელი დამპყრობი. პარტიზანებმა ფაშისტებს შორის შექმნილი პანიკით ისარგებლეს და უკლებლივ მოსპეს ყველა მტერი. სულ ტყეში მოსპეს 27 ჯარისკაცი. ხელთ იგდეს 17 შაშხანა, 4 ავტომატი და 2 ხელის ტყვიამფრქვევი. ამხ. ნ-ს რაზმის მოთხილამურე პარტიზანები თავს დაესხნენ ფაშისტთა 2 სატანკო ეკიპაჟს. გერმანელებმა ვერასგზით ვერ აამუშავეს გაყინული მოტორები. პარტიზანებმა მოსპეს ტანკისტები, მოხსნეს მანქანებს იარაღი და ცეცხლი წაუკიდეს ტანკებს. დიდი წარმატება ხვდა წილად ამხ. ი-ს პარტიზანულ რაზმს. ამ რაზმის მებრძოლნი გულმოდგინე დაზვერვის შემდეგ თავს დაესხნენ მტრის სათადარიგო აეროდრომს, სადაც გერმანელთა 3 თვითმფრინავი იდგა. პარტიზანებმა თვითმფრინავებს ბენზინი გადაასხეს და დასწვეს.

* * *

ფინეთის მოსახლეობის ფართო ფენებში სულ უფრო-და-უფრო ძლიერდება უკმაყოფილება ფინეთისათვის დამღუპველი ომის გამო. სამხედრო ტყვემ ვირტა ვეიკომ განაცხადა: „ზურგში ამბობენ, რომ ფრონტზე იღუპებიან ყველაზე ახალგაზრდა და ჯანსაღი მამაკაცები. მალე აღარავინ დარჩება. ფინელი ხალხის ტანჯვისა და უაზრო მსხვერპლის მთავარ დამნაშავედ ყველგან გერმანია მიაჩნიათ. ჰიტლერმა და მისმა ფინელმა დამქაშებმა აიძულეს ჩვენი ქვეყანა მონაწილეობა მიეღო ამ ხოცვა-ჟლეტაში“. სამხედრო ტყვე ლეუტონორე გადმოგვცემს, რომ ფინელი მოსახლეობა მტრულად ეკიდება გერმანიის ჯარს. სამხედრო ტყვემ იოჰან მანსისტომ განაცხადა, რომ „ფინეთი ახლაც უკვე გერმანიისაგან დამოკიდებული და გერმანელთა მიერ დამონებული ქვეყანაა“. ჯარისკაც საარტამაინენის მიერ ცოლისაგან მიღებული წერილი შიშით არის გამსჭვალული: „აქ სრულიად არ დარჩენილან მამაკაცები. ჩვენს ქვეყანაში მალე მარტო მოხუცები დარჩებიან. როდის მოეღება ბოლო ამ საშინელ ომს, რომელსაც დაღუპვისაკენ მიჰყავს ჩვენი ხალხი!“.

* * *

ფრანგი პატრიოტები თავგანწირვით იბრძვიან ფაშისტი ოკუპანტების წინააღმდეგ. ამას წინათ ჰავრის მახლობლად მარცხი შეემთხვა გერმანიის სამხედრო მატარებელს, რომელიც აღმოსავლეთის ფრონტზე მიდიოდა. ვაგონების ნამსხვრევებს შორის ასობით ჰიტლერელი ჯარისკაცი დაიღუპა. პარიზში პატრიოტებმა ცეცხლი წაუკიდეს გარაჟს, რომელშიაც გერმანელთა სამხედრო სატვირთო ავტომანქანები იდგა. ცეცხლმა მოსპო 15 ავტომანქანა.

კიდევ დავარტყით მტრის ჯარებს

გერმანელთა ჯარების გენერალ შმიდტის ჯგუფმა, რომელიც ლენინგრადის სამხრეთ-აღმოსავლეთით მოქმედებს, ათი დღის წინათ ხელთ იგდო ქალ. ტიხვინი და ახლო-მახლო რაიონები. გერმანელები ამოცანად ისახავდნენ გაეწყვიტათ მიმოსვლა ლენინგრადსა და ვოლხოვის რაიონს შორის და ამით კრიტიკულ მდგომარეობაში ჩაეყენებინათ ლენინგრადის ჯარები. 10 დღის განმავლობაში ცვალებადი წარმატებით სწარმოებდა ბრძოლა ტიხვინისათვის. გუშინ, 9 დეკემბერს, ჩვენმა ჯარებმა არმიის გენერლის ამხ. მერეცკოვის მეთაურობით სასტიკად დაამარცხეს გენერალ შმიდტის ჯარები და აიღეს ქალ. ტიხვინი. ტიხვინისათვის ბრძოლებში განადგურებულ იქნა მტრის მე-12 სატანკო, მე-18 მოტორიზებული და 61-ე ქვეითი დივიზიები. გერმანელებმა ბრძოლის ველზე 7.000-ზე მეტი გვამი დასტოვეს. ამ დივიზიების ნაშთები, რომლებმაც გლეხის ტანისამოსი ჩაიცვეს და საჭურველი დაჰყარეს, ტყეებში გაიფანტნენ ბუდოგოშჩისაკენ. ხელთ ვიგდეთ დიდი დავლა, რომლის დათვლა სწარმოებს.

საბჭოთა საინფორმაციო ბიურო

რუზველტის მიმართვა კონგრესისადმი

ლონდონი, 8 დეკემბერი (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს, 20 საათზე გრინვიჩის დროით, რუზველტი გამოვიდა კონგრესისადმი მიმართვით, რომელიც რადიოთი იქნა გადაცემული. რუზველტმა განაცხადა: „გუშინდელი დღე, 1941 წლის 7 დეკემბერი, სამარცხვინო თარიღად შევა ისტორიაში. იაპონიის იმპერიის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალები მოულოდნელად და წინასწარი განზრახვით დაესხნენ თავს შეერთებულ შტატებს. შეერთებული შტატები ამ სახელმწიფოსთან მშვიდობიან ურთიერთობაში იყვნენ და იაპონიის შუამდგომლობით ისევ განაგრძობდნენ მოლაპარაკებას მის მთავრობასთან და იმპერატორთან და მიზნად ისახავდნენ წყნარ ოკეანეში მშვიდობიანობის შენარჩუნებას. ერთი საათის შემდეგ იმ დროიდან, როცა იაპონიის საჰაერო ესკადრილიებმა ამერიკის კუნძულ ოაჰუს დაბომბვა დაიწყეს, იაპონიის ელჩმა და მისმა კოლეგამ შეერთებულ შტატებში ... ძილს, საჯაროთ აშკარაა, რომ თავდასხმა წინასწარი განზრახვით მზადდებოდა მრავალი დღისა და კვირის განმავლობაშიც კი. ამ ხნის მანძილზე იაპონიის მთავრობა განზრახ ცდილობდა შეცდომაში შეეყვანა შეერთებული შტატები ყალბი განცხადებებითა და მშვიდობიანობის შენარჩუნების იმედის გამოთქმით.

ჰავაის კუნძულებზე გუშინდელმა თავდასხმამ დიდი ზარალი მიაყენა ამერიკის სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ძალებს. გულისტკივილით გაცნობებთ, რომ ძალიან ბევრი ამერიკელი დაიღუპა. გარდა ამისა, მოღებულია ცნობები, რომ გაშლილ ზღვაში, სან-ფრანცისკოსა და ჰონოლულუს შორის, ტორპედირებულ იქნა ამერიკის გემები. გუშინ იაპონიის მთავრობა თავს დაესხა მალაიასაც. წუხელ იაპონიის შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ ჰონკონგს. წუხელ იაპონიის შეიარაღებული ძალები თავს დაესხნენ გუამს. წუხელ იაპონიის შეიარაღებული ...

... რა შედეგები გამომდინარეობენ აქედან ჩვენი ქვეყნის არსებობისა და უშიშროებისათვის. როგორც არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მთავარსარდალმა, მე განკარგულება გავეცი მიღებულ იქნას ყველა ღონისძიება ჩვენი თავდაცვისათვის, მაგრამ ჩვენი ხალხი არასოდეს არ დაივიწყებს ჩვენს წინააღმდეგ დაწყებული შემოტევის ხასიათს. რამდენი დროც უნდა დასჭირდეს იმას, რომ ბოლო მოვუღოთ ამ წინასწარგანზრახულ შემოსევას, ამერიკელი ხალხი თავისი სიმართლისა და ძლიერების შედეგად სრულ გამარჯვებას მიაღწევს. (ტაში). ვფიქრობ, კონგრესისა და ხალხის ნება-სურვილს გამოვხატავ, როცა ვამტკიცებ, რომ ჩვენ არათუ ბოლომდე დავიცავთ თავს, არამედ სავსებით უზრუნველვყოფთ აგრეთვე, რათა ამგვარი ფორმის ვერაგობა კვლავ არასოდეს არ დაგვემუქროს (ტაში). არ უნდა დავმალოთ ის ფაქტი, რომ ჩვენს ხალხს, ჩვენს ტერიტორიას და ჩვენს ინტერესებს სერიოზული საფრთხე შეექმნა. ...

ჩვენი ჯარების კონტრიერიშები

ტულის მიმართულება, 8 დეკემბერი (ტელეფონით). მეთაურების ზახარკინისა და ბოლდინის ნაწილები წარმატებით ავითარებენ კონტრიერიშებს ფრონტის ტულის მიმართულების უმნიშვნელოვანეს უბანზე. გერმანელთა მე-12 და 33-ე მოტოქვეითი დივიზიების ნაწილთა და გენერალ გუდერიანის ჯგუფის მე-4 სატანკო დივიზიის ნაშთებს ბრძოლით დაახევინეს სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ.

გერმანელებს დიდი ზარალი მოსდით. როგორც ჩვენმა მზვერავებმა გამოარკვიეს, მარტო სოფელ რ-სთან ფაშისტებმა დასტოვეს ჯარისკაცთა და ოფიცერთა 500-ზე მეტი გვამი. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს 16 ტანკი, 61 ავტომანქანა, 5 ქვემეხი, 17 მოტოციკლი, 13 ტყვიამფრქვევი, ასობით შაშხანა, 200-ზე მეტი ყუთი ყუმბარა, 500-მდე ნაღმი და სხვა ნადავლი.

ბ. იაკოვლევი.

„პრავდა“, 9 დეკემბერი.

მდგომარეობა კარელიის ფრონტზე

(მოსკოვი, „კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტისაგან)

„პრავდა“ ათავსებს კორესპონდენციას, სადაც მოთხრობილია, თუ რა მდგომარეობაა კარელიის ფრონტზე, რომელიც მრავალი ასეულ კილომეტრზეა გადაჭიმული. ამ ფრონტის უბნებიდან ყველაზე გაცხოველებული მოქმედებაა მედვეჟეგორსკის მიმართულებით, სადაც თეთრფინელთა ჯარები უკვე ერთ თვეზე მეტია ცდილობენ ხელთ იგდონ ქალაქი მედვეჟეგორსკი და გამოვიდნენ თეთრ ზღვა-ბალტიის ზღვის არხზე. აქ ბრძოლები სწარმოებს ქალაქის მისადგომებზე. მტრის ცდები — წამოიწიოს ჩვენი თავდაცვის სიღრმეში შედეგებს ვერ აღწევს. ჩვენი ჯარის ნაწილები უკუაქცევენ მტრის ჯარებს, რომლებიც ცდილობენ ჩრდილოეთიდან შემოუარონ მედვეჟეგორსკს. რიუტი-მანერჰაიმის ეგრეთწოდებული „საზამთრო გეგმა“ — თეთრ ზღვაზე გამოსვლა — აშკარად იფუშება. ფინეთის არმია ქანცგამოლეულია განუწყვეტელი ბრძოლებით, ბევრი მისი პოლკი ორჯერ-სამჯერ შეივსო.

ფრონტის დანარჩენი მიმართულებებით მდგომარეობა სტაბილურია. მურმანსკის მიმართულებით გერმანიის ჯარები, იგემეს რა მთელი რიგი გამანადგურებელი დარტყმები, შემოტევის განახლებას აღარ ცდილობენ. გერმანელი გენერლები დიტლი, რომელმაც ნარვიკი აიღო, და ჩერნერი, რომელმაც კრეტას კუნძული აიღო, ბლინდაჟებში სხედან და იძულებული არიან პასიური თავდაცვით დაკმაყოფილდნენ.

კანდალაკშის მიმართულებით ჩვენი ჯარის ნაწილები მტკიცედ ინარჩუნებენ პოზიციებს და აქტიურ თავდაცვას ეწევიან. მთელ კოლის ნახევარკუნძულზე მურმანსკიდან კანდალაკშამდე სამი თვის განმავლობაში მტერი ერთი მეტრითაც ვერ აჩრხებს წინ წამოწევას.

კესტენგის მიმართულებით ნოემბრის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რომელთა მსვლელობაში გერმანელთა სამმა პოლკმა თავისი შემადგენლობის ნახევრამდე ნაწილი დაჰკარგა, ჩვენმა ჯარებმა გააუმჯობესეს თავისი პოზიციები და უკუაგდეს გერმანელთა და ფინელთა ჯარები გამოსავლელ პოზიციებამდე.

უხტის მიმართულებით მდგომარეობა უცვლელია. მტერი სანგრებში ჩაძვრა და თავს იცავს.

ახლა პოლარულ წრეს გადაღმა გერმანელები სანგრებში სხედან და მიწურებიდან ვერ გამოსულან. ამიტომ დიდი მნიშვნელობა მიენიჭა, — სწერს „კრასნაია ზვეზდაში“ პოლკოვნიკი მილიცკი, — უეცარ თავდასხმებს ფაშისტთა ზანაკებზე ზურგიდან და ფლანგებიდან. ფინელები უკანასკნელ დროს შავ სამუშაოს ასრულებენ გერმანელებისათვის — უზრუნველყოფენ მათს ფლანგებს, ამაგრებენ მათ მიერ დაკავებულ უბნებს. ფინელების დამახასიათებელია მისწრაფება თუ გამაგრებულ ადგილზე არ იმყოფებიან, სასწრაფოდ გაჰქრნენ ჩვენს ნაწილებთან შეხვედრისას. ისინი აცხადებენ, რომ ეკლიან მავთულს და დანაღმულ ველებს იქით იხსნენ. ფინელებმა უკვე იმდენად დიდი დანაკლისი განიცადეს, რომ ახლა მათ მიერ რისკის გაწევა ყველაფრის გაწირვას ნიშნავს.

ვ. ყარა-მურზა.

გარდაიცვალა ამხ. ფ. ე. მახარაძე

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტი მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 10 დეკემბერს, დილის 6 საათზე, ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძველი ბოლშევიკი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი

ფილიპე ესეს-ძე მახარაძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ფილიპე ესეს-ძე მახარაძე

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ფილიპე ესეს-ძე მახარაძე

მთავრობის კომისია ფ. ე. მახარაძის დაკრძალვის მოსაწყობად

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს დადგენილებით შეიქმნა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ფილიპე ესეს-ძე მახარაძის დაკრძალვის მომწყობი კომისია ამხ. გ. სტურუას თავმჯდომარეობით, ამხანაგების: ი. კოჩლამაზაშვილის, ი. თავაძის, ვ. ეგნატაშვილისა და გ. კიკნაძის შემადგენლობით.

გერმანელთა დიდი დანაკლისი

სამხრეთ-დასავლეთის ფრონტი, 7 დეკემბერი („პრავდის“ სამხედრო კორესპონდენტისაგან). სამხრეთ-დასავლეთის ფრონტის უბნებზე ჩვენი ჯარის ნაწილებს აქტიური კონტრიერიშები მიაქვთ. მტერი, რომელიც ცდილობდა, რაც უნდა დაჯდომოდა, შეენარჩუნებინა ინიციატივა და შეტევითი ტემპი, ახლა ჩვენი ნაწილების იერიშების შედეგად იძულებულია აქა-იქ უკან დაიხიოს.

ნაწილმა, რომელსაც მეთაურობს ამხ. პოდლასი, 2-დან 6 დეკემბრამდე მოსპო 900 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელთ იგდო 7 ქვემეხი, 30-მდე ავტომატი და 15 ათასი ვაზნა.

საბჭოთა მეომრები მტკიცედ იტანენ სიცივეს და არც დღისით და არც ღამით მოსვენებას არ აძლევენ გერმანელებს. ოკუპანტთა გამანადგურებელი ათობით დამკვრელი რაზმი იჭრება მტრის ზურგში და სერიოზულ ზარალს აყენებს ფაშისტებს. ფრონტის ერთ-ერთ უბანზე დამკვრელ მოხალისეთა რაზმებმა ერთი დღის განმავლობაში (5 დეკემბერს) მოსპეს რამდენიმე ასეული გერმანელი, ააფეთქეს მტრის სატყვიამფრქვევო ბატარია, 15 დაზგისა და 20 ხელის ტყვიამფრქვევი. ამავე რაზმებმა დახოცეს ოთხი დასახლებული პუნქტის გერმანელთა გარნიზონები.

ამხ. ციგანოვის ნაწილმა კვლავ მაგრად დაარტყა მტერს რ-ს რაიონში. გერმანელებმა ბრძოლის ველზე 350-მდე მოკლული და დაჭრილი დასტოვეს.

გ. გრიგორენკო.

ჩერჩილის სიტყვა

ლონდონი, 8 დეკემბერი (საკდესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, დღეს ჩერჩილმა პარლამენტის სპეციალურ სხდომაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიც განაცხადა:

მთელი ხალხისა და ჩვენი იმპერიის სრული მოწონებით, დაახლოებით ერთი თვის წინათ მე პირობა დავდე, რომ, თუ ა. შ. შტატები ჩაბმულ იქნებოდნენ იაპონიასთან ომში, მაშინ ერთი საათის განმავლობაში მოხდებოდა ომის გამოცხადება ინგლისის მხრივ. ამიტომ გუშინ, საღამოს, მე ტელეფონით ველაპარაკე რუზველტს იმისათვის, რომ დაგვედგინა ჩვენი დეკლარაციების გამოცემის ვადები. პრეზიდენტმა მითხრა: დღეს, დილით, წერილით მივმართავ კონგრესს; ბუნებრივია, ა. შ. შტატების სახელით ომის გამოცხადება იქნება იაპონიის ქვეშევრდომთა წინააღმდეგ. ამრიგად, პარლამენტი ხედავს, რომ ჩვენ დროს არა ვკარგავთ და იმაზე მეტიც კი გავაკეთეთ, ვიდრე დავიბარეთ.

მე არ ვიცი, თუ რა როლის შესრულება მოუხდება ამ ახალ ომში სიამს (ტაის), მაგრამ ჩვენ ცნობა მივიღეთ, რომ იაპონელები გადასხდნენ სინგორაში, სიამის ტერიტორიაზე, მალაიის საზღვართან, იმ ადგილის მახლობლად, სადაც ისინი გადასხდნენ საზღვრის ბრიტანულ მხარეზე. უშუალოდ იმის წინ, ვიდრე იაპონია ომში ჩაებმებოდა, 7 დეკემბერს დილა-ადრიან სიამის პრემიერს მე გავუგზავნე შემდეგი მიმართვა: „უშუალო საფრთხეა, რომ იაპონია თქვენს ქვეყანას შემოესევა. უკეთუ თავს დაგესხან, დაიცავით ...

... მაღალი გზის დახურვას, მაგრამ უფრო გვიან, ამ წლის დამდეგს, როცა ჩვენ შევძელით ძალები აღგვედგინა, ჩვენი პოლიტიკა შევცვალეთ და პალატას ახსოვს, რომ მეც და საგარეო საქმეთა მინისტრმაც შესაძლებლად ჩავთვალეთ გულახდილი განცხადება გაგვეკეთებინა ჩინელი ხალხისადმი და მისი დიდი ბელადის ჩან კაი-შისადმი ჩვენი მეგობრული დამოკიდებულების შესახებ.

ჩვენ მუდამ მეგობრებად ვრჩებოდით. გუშინ საღამოს მე დეპეშა გავუგზავნე გენერალისიმუსს და აღვუთქვი, რომ ამიერიდან ჩვენ ერთად ვიმოქმედებთ ჩვენი საერთო მტრის წინააღმდეგ. თუმცა ევროპასა და აფრიკაში ომის აუცილებელმა მოთხოვნილებებმა გამოიწვიეს დაძაბულობა ჩვენი რე...

რ.თ.ᲬᲐᲜᲐᲗᲘ, 10 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 1941 წ. № 292 (6297)

აკადემიკოსი Შ. ᲓᲘᲡᲔᲜᲙᲝ

ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲖᲐᲓᲝᲗ ᲛᲔᲒᲘ ᲡᲐᲗᲔᲡᲚᲔ ᲙᲐᲠᲒᲝᲕᲘᲚᲘ

გერმანიის ფაშიზმის წინააღმდეგ საბჭოთა ხალხის დიდი სამამული ომის დღეებში, როდესაც საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობები თავიანთ შეუპოვარი შრომით ცდილობენ გაამაგრონ ჩვენი ქვეყნის საფრთხეთა და სანეფლეფოო სისოფლო-სამეურნეო რესურსები, საბჭოთა სეროიული ფერდეკლება მიექცა 1942 წელს კარტოფილის ნარგავი ფართობების გადიდებას და მისი მოსავლიანობის ამაღლებას. ახლაც უნდა ეიზრუნოთ საბჭოთა რაიოდნობისა და ხარისხის სარგავი მასალის მარაგის შესაქმნელად. იმ რაიონებში, სადაც კოლმეურნეობები კარტოფილს ზაფხულში რგავდნენ, საგოველ მასალა უშინაოს კოლესის ამ ნარგავის მოსავლიდან 5 უნდა შეეინახოთ. ზაფხულში ნარგავი კარტოფილი იძლევა უკეთეს ხარისხიან მასალას, ჩვენ ეს ფერი მოსავლიანი კარტოფილის ჩვეულებრივი სადაზაფხულო ნარგავის ტუბერებთან შედარებით.

1942 წელს კარტოფილის ნარგავი ფართობი ჩვენი ქვეყის ყველა რაიონში ნუნდა გადიდდეთ. კარტოფილის ნარგავები განსაკუთრებით უნდა გავიფართოოთ საბჭოთა კავშირის იმ რაიონებში, სადაც კარტოფილის ნარგავი ფართობი აჭიმდე შედარებით მცირე იყო.

კარტოფილის ნარგავი ფართობის გასადიდებლად ჩვენს მეეტერეებსა და პრაქტიკას დიდი შესაძლებლობანი მოეპოვება. შუა აზიისა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების მეგობრობის, ცხელჰაეიან რაიონებში, როგორც კოლმეურნეობათა წარსული წლების გამოცდილებამ ცხადყო, კარტოფილის ზაფხულში (აგვისტოში) დარგვა ბალალნარსხლეანი ტუბერების მშეენიერ მოსავლის იძლევა. ამ რაიონებში, როგორც ცნობილია, კარტოფილს, შედარებით მცირე რაოდენობით რგავდნენ იმ მიზეზით, რომ ჩვეულებრივი წესით კულტურის ფროს ხდება მისი ბალე გადაგვარება. ზაფხულში დარგვა კი კარგ მოსავალს იძლევა და არა მარტო სასურსათო, არამედ აგრეთვე სარგავი კარტოფილისასაც. მთელი სიმნელე ამ რაიონებში მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ ზაფხულში დარგვის ადგილდ (აგვისტომდე) არ შეიძლებოდა სარგავი მასალის შენახვა. შეტოვრა კითხვა—შემოშვებულიყო წესი ამ რაიონებში კარტოფილის ზაფხულში დარგვისა ახლად აღებული ტუბერებით, ე. ი. ადრე გაზაფხულის ან ზამთრის ნარგავი კარტოფილის ამავე წლის მოსავლის ტუბერებით.

პირველად 1939 წელს აზერბაიჯანის კოლმეურნეობებმა 100 ჰექტარზე, ცდის სახით, დარგეს ახლად აღებული ტუბერები, რომლებიც ბინაოვნებ ეროიულ ზაფხულ ზეკანონ ეროიულ ზაფხულ ზეკანონ ეროიულ ზაფხულ ზეკანონ